პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

9 იანვარი ხუთშაბათი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 7 (14307)

მაღაროელთა სიტყვა და საქმე

ჭიათურა. (საკ. კორ.). როცა ჭიათურელი მაღაროელები რესპუბლიკაში ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრების თაოსნებად გამოვიდნენ, ვალდებულება იკისრეს ხუთწლედის მესამე წელს სამშობლოსათვის მიეცათ 30.000 ტონა სასაქონლო მარგანეცი.

შეჯიბრების ინიციატორებმა პირნათლად შეასრულეს პირობა. ლენინის ორდენოსანმა მარგანეცის ტრესტის კოლექტივმა მეტალურგიულ ქარხნებს გეგმის გადამეტებით გაუგზავნა 45.000 ტონაზე მეტი მარგანეცი.

ამ წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს ორჯონიკიძის, კალინინის და დიმიტროვის სახელობის მაღაროთა კოლექტივებმა.

ხუთწლედი — ვადაზე ადრე

ერთ კვირაში — 53 კილომეტრი ქსოვილი

თბილისი. ყოველდღიურად ასობით მეტრი მზა ქსოვილი მზადდება დავალების გადამეტებით მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ წარმოებებსა და საამქროებში. 10 სახის პროდუქცია, რომელსაც კომბინატის კოლექტივი უშვებს, მაღალი ხარისხით გამოირჩევა. გასული წელი ამ დიდმა საწარმომ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამარჯვებით დაამთავრა. ფეიქართა მიერ გამოშვებული ზეგეგმითი მზა შალის ქსოვილები იმდენია, რომ ალბათ თავისუფლად გახწვდებოდა თბილისიდან ლიბის მთამდე. გეგმის გადამეტებით დამზადებულ იქნა 5 მილიონი მანეთის პროდუქცია. კომბინატელების კარგი შრომა ჩანს პროდუქციის რეალიზაციის მაჩვენებლითაც. აქ ნაცვლად 88 მილიონ 980 ათასისა 89 მილიონ 204 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია მოახდინეს.

წარმატებით ჩაიარა ხუთწლედის მეოთხე წლის პირველმა კვირამ. გამოშვებულია 53.400 მეტრი ნაკოსტიუმი, ქალის და ბავშვის სამალტო, საფეხსაცმლე და სხვა ასორტიმენტის მზა აბრეშუმის ქსოვილები. ახალი წლიდან ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ კამვოლური ნართის წარმოება და სამღებრო-საგამომყვანო წარმოების მშრალი დამუშავების საამქრო.

ლამაზი, ელეგანტური

ბათუმი. (საკ. კორ.). ფეხსაცმლის ფაბრიკამ წარმატებით დაამთავრა გასული წელი. წლიური გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 35 ათასი წყვილი ფეხსაცმელი.

ხუთწლედის მეოთხე წელს საწარმო კიდევ უფრო გაზრდის პროდუქციის გამოშვებას, იგი მომხმარებელს მიაწვდის 800 ათას წყვილზე მეტ ფეხსაცმელს.

ნაყოფიერად მუშაობენ ფაბრიკის მოდელიორები. შარშან საწარმომ გამოუშვა ქალისა და მამაკაცის 29 მოდელის ფეხსაცმელი. მომხმარებელმა მიიღო გემოვნებით შეკერილი თეთრი, ყავისფერი და შავი ლაქის ტუფლები. მიმდინარე წლისთვის გამოსაცვლელად უკვე დამუშავებულია 43 მოდელი, ამ მოდელების ფეხსაცმელი სადა, ლამაზი და ხანგამძლე იქნება.

ახლა ფაბრიკა ემზადება „ექსპო-69“-სათვის, რომელიც მოსკოვში გაიმართება დღევანდელ — „ფეხსაცმელი-69“. ეს იქნება ამ ტიპის მსოფლიოში პირველი საერთაშორისო გამოფენა. მასში მონაწილეობას მიიღებენ 70 ქვეყნის ფირმები.

ბათუმელი მოდელიორები ახლა ამუშავებენ ახალ ესკიზებს, გაფორმებაში შეაქვთ ეროვნული ფეხსაცმლის დეტალები და შტრიხები. ისინი გამოფენაზე ფეხსაცმლის 15 მოდელს გაგზავნიან.

ლენინურ პასტზე



რუსთავის მეტალურგიული ქარხნის აგლოსაბრძმედე საამქროს უფროსმა მექურემ, ლენინის ორდენოსანმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა რევაზ ყანდიაშვილმა 14 წლის წინათ მონაწილეობა მიიღო თუჯის პირველ გამოშვებაში და დღესაც დუმელთან დგას.

მოწინავე მეტალურგი ენერგიული შრომის მაგალითს აძლევს ახალგაზრდებს.

სურათზე: რ. ყანდიაშვილი.

ფოტო რ. გაბარიჩიძისა.

ვალდებულება გაანაღდეს

საჩხერე. (საკ. კორ.). საკონსერვო ქარხნის კოლექტივი (დირექტორი ი. ჩხეიძე) მაღალნაყოფიერად შრომობს. მან ერთი თვით ადრე შეასრულა წლიური დავალება, გამოუშვა სამი მილიონი პირობითი ქილა მაღალხარისხოვანი კონსერვი და ვალდებულება იკისრა გეგმის გადამეტებით გამოუშვა ერთი მილიონი ქილა კონსერვი.

ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება გადაჭარბებით შეასრულა. მოგების წლიური გეგმა შესრულებულია 185 პროცენტით, რეალიზაციისა — 112 პროცენტით.

440.000 მანეთი მოგება

მოსკოვი, ლენინგრადი, რიგა. ასეთი მისამართით იგზავნება ძირითადად ყვარლის ეთერზეთების ქარხანა-მეურნეობის მაღალხარისხოვანი პროდუქცია. ქარხანა-მეურნეობის კოლექტივმა სასახელო მაჩვენებლებით დაამთავრა გასული სამეურნეო წელი. გეგმით გათვალისწინებული 3.260 ტონის ნაცვლად მიიღო და გადაამუშავა 3.810 ტონა ნედლეული.

ღსანიშნავია ისიც, რომ ყვარლის ქარხანა-მეურნეობამ შეასრულა ნედლეულის გადამუშავების დავალება. გამოშვებულია 10,5 ტონა ეთერზეთები. ნაცვლად 8,5 ტონისა. ამის შედეგად სამშობლოს მიეცით 260.000 მანეთი ზეგეგმითი პროდუქცია.

გათვალისწინებული იყო 309.000 მანეთი მოგების მიღება, ფაქტიურად მიღებულია 440.000 მანეთი მოგება. 1968 წელს პროდუქციის რეალიზაციის დავალება შესრულდა 125 პროცენტით. ეს წარმატებები ზღვარი როდია. ქარხანა-მეურნეობის მუშაკებს შორის ფართოდ არის გაშლილი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება. და ახლა— ხუთწლედის მეოთხე წელს ვიბრძვით უფრო მეტი წარმატების მოპოვებისათვის.

ი. კოკორაშვილი,

ყვარლის ეთერზეთების ქარხანა-მეურნეობის დირექტორი.

ერთ ადგილზე

ეს დღეები კუბაში

საბჭოთა სტუმრები კუბაში

ჰავანა, 8 იანვარი. (საკ.კორ.). კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ოსვალდო დორტიკოს ტორადომ გუშინ მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ნ. ნოვიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. მ. ვინოგრადოვი და მათი თანმხლები პირები, აგრეთვე სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კუბის რესპუბლიკაში ა. ა. სოლდატოვი. კუბის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრი, ოფიციალური მთავრობის მინისტრი კარლოს რაფაელ როდრიგესი და კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საგარეო საქმეთა მინისტრი რაულ როა.

შემდეგ საბჭოთა სტუმრები იყვნენ ჰავანის თევზსაჭერი ფლოტის ნავსადგურში. მათ ახლდნენ კარლოს რაფაელ როდრიგესი, თევზის მეურნეობის ეროვნული ინსტიტუტის დირექტორი ემილიო არაგონეს ნავარო, ნავსადგურის ხელმძღვანელები.

კუბაში ყოფნის დროს საბჭოთა სტუმრებმა იმოგზაურეს სხვადასხვა რაიონში, კერძოდ, იყვნენ მთელ რიგ მეცხოველეობის ფერმებში, მეცხოველეობისა და ხელოვნური დათესვის ეროვნულ ცენტრში, მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში, დაესწრნენ ლერწმისმჭრელი კომბაინისა და მაქრის ლერწმის დამტვირთავი მანქანის გამოცდას ჰავანის პროვინციაში. ორიენტეს პროვინციაში სტუმრებმა დათვალიერეს ნიკაროს ნიყვლის კონცენტრატის ქარხანა, ეწვივნენ ქალაქ ოლგინსა და ორიენტეს პროვინციის ცენტრს სანტიაგო-დე-კუბას. საბჭოთა სტუმრები იყვნენ აგრეთვე კუნძულ პინოსზე.

კუბაში მოგზაურობის დროს საბჭოთა სტუმრებს ჰქონდათ მრავალი გულთბილი შეხვედრა მშრომელებთან, პარტიული ორგანიზაციების, სასოფლო-სამეურნეო ცენტრებისა და სამრეწველო საწარმოების ხელმძღვანელებთან.

ფართოვდება საბჭოთა კავშირ-კუბის თანამშრომლობა

ქუბანა, 8 იანვარი. (საკ.კორ.). აქ ხელი მოაწერეს სამ შეთანხმებას სსრ კავშირსა და კუბის რესპუბლიკის თანამშრომლობის გაფართოების შესახებ: შეთანხმებას, რომ საბჭოთა კავშირი ტექნიკურ დახმარებას გაუწევს კუბას სატელევიზიო სადგურის რეკონსტრუქციაში; კუბის გვალვიანი მიწების შემდგომ სარწყავ სამუშაოებში ტექნიკური დახმარების გაწევის შესახებ საბჭოთა კავშირ-კუბის 1966 წლის 17 მარტის შეთანხმების დამატებითს ოქმს და აქტს, რომ საბჭოთა კავშირი კუბის რევოლუციის 10 წლისთავთან დაკავშირებით საჩუქრად გადასცემს კუბას ატომურ რეაქტორს სასწავლო და ექსპერიმენტული მიზნებისათვის.

დოკუმენტების ხელმოწერის შემდეგ კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრმა, რევოლუციური მთავრობის მინისტრმა კარლოს რაფაელ როდრიგესმა მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირის დახმარებას კუბის რესპუბლიკისადმი და საბჭოთა კავშირ-კუბის მჭიდრო თანამშრომლობის რევოლუციის შემდგომ წლებში. საბჭოთა კავშირისა და კუბის თანამშრომლობის განვითარებას ტელევიზიის დარგში, თქვა მან, დიდი მნიშვნელობა აქვს კუბელი ხალხის იდეოლოგიური აღზრდისათვის.

კარლოს რაფაელ როდრიგესმა მაღალი შეფასება მისცა აგრეთვე საბჭოთა კავშირის დახმარებას შაქრის ქარხნების რეკონსტრუქციის საქმეში. დასასრულ მან კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ საბჭოთა სტუმრები ჩამოვიდნენ რევოლუციის გამარჯვების 10 წლისთავის ზეიმზე, და დღეგრძელობა უსურვა საბჭოთა კავშირს, საბჭოთა კავშირ-კუბის მეგობრობის განვითარებას.

საპასუხო სიტყვაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამბ. ვ. ნ. ნოვიკოვმა თქვა: დოკუმენტები, რომლებსაც დღეს მოვაწერეთ ხელი, ჩვენი მეგობრობისა და თანამშრომლობის ლოგიკური გაგრძელებაა. ჩვენ დიდად ვაფასებთ ფიდელ კასტროს 2 იანვარს ნათქვამ სიტყვებს საბჭოთა კავშირისა და კუბის თანამშრომლობის შესახებ. ასეთივე გრძნობები გამოთქვა ჩვენი დელეგაციისა და კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტის ოსვალდო დორტიკოსის შეხვედრის დროს. საბჭოთა ხალხი, ჩვენი პარტია და მთავრობა კვლავაც განავითარებენ და განამტკიცებენ მჭიდრო ძმურ თანამშრომლობას კუბის რესპუბლიკის ხალხთან, პარტიასთან და მთავრობასთან.

პარტიული კადრების სწავლება

8 იანვარს თბილისში დაიწყო ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა კადრების გადამზადების მუდმივმოქმედი კურსების მსმენელთა მორიგი ნაკადის მეცადინეობა.

ერთთვიან მეცადინეობას შეუდგნენ პარტიის საქალაქო კომიტეტებისა და რაიკომების ინსტრუქტორები, რესპუბლიკის კოლმეურნეობათა ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაციების განთავისუფლებული მდივნები.

კურსები შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა პ. ა. როდიონოვმა.

მეცადინეობის პერიოდში კურსების მსმენელებს წაუკითხავენ ლექციებსა და მოხსენებებს სკკპ ისტორიისა და პოლიტიკის ძირითად პრობლემებზე, მეცნიერული კომუნიზმის, ეკონომიკისა და წარმოების ორგანიზაციის საფუძვლებზე.

სასწავლო გეგმაში დიდი ადგილი ეთმობა პარტიული მშენებლობის, სახალხო მეურნეობისა და კულტურისადმი ხელმძღვანელობის პრაქტიკის საკითხების შესწავლას. მოეწყობა აგრეთვე პრაქტიკული მეცადინეობანი. (საქდესი).

რესპუბლიკური კურსები

ქუთაისი, 8 იანვარი. (საქდესი). საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ქუთაისში მოაწყო პრაპაგანდისტთა გადასამზადებელი ხუთდღიანი რესპუბლიკური კურსები. კურსებზე ლექციების მოსასმენად შეიკრიბა დასავლეთ საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში მომუშავე 230-მდე პროპაგანდისტი.

კურსებზე წაიკითხეს ლექციები მარქსიზმ-ლენინიზმის, ფილოსოფიის და საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე. პროპაგანდისტთა ამოცანებსა და სხვა საკითხებზე. მოეწყო პროპაგანდისტთა მუშაობის გამოცდილების გაზიარება.

ქრონიკა

იმის გამო, რომ საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულების უფლებამოსილების ვადა მთავრდება 1969 წლის თებერვალში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა:

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა, რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა 1969 წლის თებერვალ-მარტში ჩაატარონ საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნები.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა

პრაღა, 8 იანვარი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტომ გადასცა კომუნიკე ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 7 იანვრის სხდომის შესახებ. კომუნიკეში ნათქვამია, რომ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა თავის სხდომაზე, რომელიც ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ა. დუბჩეკის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, უწინარეს ყოვლისა განიხილა გამოხმაურებანი პარტიასა და საზოგადოებაში ამა წლის 3 იანვრის განცხადების გამო.

პრეზიდიუმმა დაადასტურა, რომ განცხადებას მხარი დაუჭირეს და ეთანხმებიან. განცხადებას მხარი დაუჭირეს პარტიის საოლქო და რაიონულმა კომიტეტებმა და პარტიული აქტივების კრებებმა, რომლებმაც განცხადება განიხილეს. ამჟამად მას იხილავენ პირველადი ორგანიზაციები, რომელთა დიდი უმრავლესობა ეთანხმება მას.

ცენტრალურ კომიტეტში შემოსული რეზოლუციები და წერილები სავსებით ეთანხმება პრეზიდიუმის აზრს როგორც მდგომარეობის შეფასებაში, ისე იმ მხრივ, თუ რა არის საჭირო იმისათვის, რათა შეექმნათ ხელსაყრელი ატმოსფერო შემოქმედებითი მუშაობისა და იანვრისშემდგომი პოლიტიკის განვითარებისათვის. ისინი არ ეთანხმებიან იმ მოვლენებს, რომლებიც დაძაბულობასა და ნერვულობას იწვევენ საზოგადოებაში, ხელს უშლიან კარგი ურთიერთობის დამყარებას ჩვენს ხალხებს შორის და საზოგადოების ყურადღებას აშორებენ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრისა და დეკემბრის პლენუმების რეზოლუციებში დასახულ ამოცანებს. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს დიდმნიშვნელოვნად მიაჩნია, აღინიშნულია კომუნიკეში, რომ მისი განცხადების შემდგომმა განხილვამ პირველად ორგანიზაციებში ხელი შეუწყოს შეხედულებათა და პარტიის მოქმედების ერთიანობის განმტკიცებას.

ეს განსაკუთრებით საჭიროა იმისათვის, რომ ხდება მოვლენები, რომლებიც არღვევენ პარტიის მოქმედების ერთიანობას, ეს კი უაღრესად საზიანოა ახლანდელ რთულ ვითარებაში. პრეზიდიუმი უარყოფს განსაკუთრებით ცალკეული კომუნისტების ცდებს საჯაროდ გამოთქვან შეხედულებანი, მიმართული ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკისა და პარტიის მოქმედების ერთიანობის წინააღმდეგ. პრეზიდიუმს მიაჩნია, რომ სწორი არ არის და წესდებას ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ უმაღლესი პარტიული ორგანოების თანხმობის გარეშე ზოჯერ ისწრაფვიან შეთანხმებულად განახორციელონ იდეები, რომლებიც ეწინააღმდეგება პარტიის ხაზს, შეადგინონ რეზოლუციები მათ მხარდასაჭერად და ა. შ. პრეზიდიუმმა დაადასტურა აგრეთვე, დასაგმობია, რომ პოლიტიკური გეგმების განხორციელებისათვის იყენებენ ისეთ საშუალებებს, როგორიცაა ცილისწამება, პირადული თავდასხმები, აგრეთვე ფურცლებისა და იატაკქვეშა გამოცემების გამოშვება. ასეთი მოქმედება იწვევს უნდობლობასა და შეულს, აფერხებს საქმიან და დემოკრატიულ პოლიტიკურ დისკუსიებსა და საქმიანობას.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს ამედი აქვს, რომ განსაკუთრებით პროფკავშირებსა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მომუშავე კომუნისტები, შეძლებენ განმარტონ, რომ სწორია და საჭიროა პარტიის მოქმედების ერთიანობა.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა და მოიწონა ღონისძიებათა პროექტი პრესის, რადიოსა და ტელევიზიის პარტიული და სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა შემდეგ ცნობა თანამედროვე მდგომარეობისა და ჩეხოსლოვაკიის სახალხო არმიაში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ამოცანების შესახებ.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა, აღნიშნულია კომუნიკეში, დაწვრილებით განიხილა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმისათვის მზადება.

გაითვალისწინა რა ჩეხიის ოლქებში პარტიული მუშაობის ხელმძღვანელი ბიუროსა და სლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოზიცია, პრეზიდიუმმა საგულდაგულო განხილვის შემდეგ ერთსულოვნად დასაკვნა, რომ იგი ურჩევს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურმა პარტიამ სთხოვოს ეროვნული ფრონტის ცენტრალურ კომიტეტს სლოვაკი ხალხის წარმომადგენლად ფედერალური კრების თავმჯდომარის პოსტზე დასახელოს პროფესორი პეტერ ცოლოტკა, მეცნიერებათა კანდიდატი, რომელსაც აქამდე ეკავა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა. პრეზიდიუმმა დადასტურა, რომ იოზეფ სმრკოვსკი, რომელიც იანვრიდან პარტიის თვალსაჩინო წარმომადგენლებს განეკუთვნება, კვლავაც დარჩება პარტიის ვიწრო ხელმძღვანელობის წევრი. ამასთან პრეზიდიუმმა გადაწყვიტა ურჩიოს ცენტრალურ კომიტეტს მისი კანდიდატურა დასახელოს სახალხო პალატის თავმჯდომარისა და ფედერალური კრების თავმჯდომარის პირველი მოადგილის პოსტზე.

პრეზიდიუმმა შემდეგ გადაწყვიტა ეროვნებათა პალატის თავმჯდომარის პოსტზე ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიისაგან რეკომენდაცია მისცეს დალიბორ ჰანენსს, რომელიც სლოვაკიის ეროვნებათა საბჭომ ამ პალატის დეპუტატად დასახელა.

დასასრულ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა მოიწონა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის რეგლამენტის პროექტი, რომელსაც შესთავაზებენ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმს.

საზალხო კონტროლის ორგანოების მუშაკთა თათბირი

ხაკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცეს დებულება სსრ კავშირში სახალხო კონტროლის ორგანოების შესახებ. სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტში გაიმართა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, სამხედრო ოლქების, ფლოტების, სასაზღვრო ჯარებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების სახალხო კონტროლის კომიტეტების თავმჯდომარეთა თათბირი, რომელიც განიხილავდა ბულებიდან გამომდინარე კომიტეტებისა და ჯგუფების ამოცანები. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ ამბ. ა. ბ. კოპაანოვმა.

მოხსენებასა და თათბირის მონაწილეთა გამოსვლებში აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დებულებას სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის და რა დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს მათ. განიხილეს საჭირო ღონისძიებანი, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ, რომ სახალხო კონტროლის ორგანოებმა წარმატებით შეასრულონ თავიანთი ამოცანები — დაეხმარონ პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებს იმის სისტემატურ შემოწმებაში, თუ ფაქტიურად როგორ ასრულებენ პარტიისა და მთავრობის დირექტივებს საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციები, დაეხმარონ კომუნისტური შენებლობისადმი ხელმძღვანელობის შემდგომ სრულყოფაში, ეკონომიკის ყოველმხრივი ეფექტურობისათვის ბრძოლაში, სახელმწიფო დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებაში.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს, სრულიად საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა არმიისა და სამხედრო საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს პასუხისმგებელი მუშაკები. (საკდესი).

საერთაშორისო ცხოვრება

დიად იუბილეს მიუძღვნიან

ბონდოლეთის სახალხო რესპუბლიკა. ახლა, როდესაც მთელი პროგრამული პაციობრიობა ემზადება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად, ულან-ბატორში ვ. ი. ლენინის მუზეუმს ყოველდღე ათასობით მნახველი კაჟაჟს.

სურათზე: მუზეუმის ერთ-ერთ დარბაზში.

ფოტო ვ. მასტიუკოვისა (საკადრისის ფოტოკორონიკა).

ლენინის სახელობისა

ბერლინში ფრიდრიხსჰაინის რაიონის ერთ-ერთ მოედანზე გაიმართა საზეიმო ცერემონია, რომელიც მიეძღვნა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელობის მოედნის საძირკვლის ჩაყრას. მიტინგზე გამოსულმა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ვალტერ ულბრიხტმა ილაპარაკა ლენინიზმის ძლევამოსილ წინსვლაზე, მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის ისტორიულ დამსახურებაზე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ხალხების ძმურ და ურღვევ მეგობრობაზე, მეგობრულ კავშირსა და თანამშრომლობაზე.

როგორი იქნება ეს მოედანი 1970 წლის 22 აპრილს, ილიჩის დაბადების 100 წლისთავისათვის? მოედანზე დაიდგმება ვ. ი. ლენინის 17-მეტრიანი ძეგლი წითელი გრანიტისაგან. „სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიისა და გდრ-ის ხელოვნებათა აკადემიის შეთანხმების საფუძველზე მას შექმნის ცნობილი საბჭოთა მოქანდაკე ნ. ტომსკი. მოედნის ირგვლივ აღიმართება მაღლივი სახლები, სკოლები, სხვადასხვა დაწესებულებები. ეს დედაქალაქის ერთ-ერთი ულამაზესი მოედანი იქნება.

ლენინიანა საფრანგეთში

საფრანგეთის კომუნისტთა არაერთი თაობის მსოფლმხედველობა ჩამოყალიბებულია ლენინის შრომების შესწავლით. ვ. ი. ლენინის ნაწარმოებები ყოველთვის იყო და არის მათთვის გზის მაჩვენებელი შუქურა მუშათა კლასის იდეალებისათვის ბრძოლაში, საფრანგეთისათვის, ნამდვილი რევოლუციონერებისათვის ლენინიზმის იდეების უდიდეს მნიშვნელობას მოწმობს ის დიდი შრომა, რაც აქ მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ნაწარმოებთა გამოსაცემად გასწიეს.

ვ. ი. ლენინის წიგნი ფრანგულ ენაზე პირველად გამოიცა 1921 წელს. ეს იყო „მემარცხენეობის“ საყმაწვილო სენი კომუნიზმში“. შემდეგ წლებში იგი ხუთჯერ გამოიცა. ლენინის შრომებისადმი ინტერესი არასოდეს არ შენელებულა. „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ გამოიცა ოთხჯერ, „სახელმწიფო და რევოლუცია“ — ხუთჯერ, „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“ — შვიდჯერ, „რა კაკეთოთ?“ —სამჯერ და ა. შ.

საფრანგეთში უკანასკნელ წლებში დიდი ყურადღება მიექცა ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემას, რაც ითავეს საბჭოთა და ფრანგულმა გამომცემლობებმა „პროგრესმა“ და „იდისიონ სოციალმა“. ორმოცი ტომიდან ჯერ-ჯერობით ექვსი ტომი გამოიცა.

ყველა ენასა და კილოკავზე!

ამ ბოლო დროამდე ცნობილი იყო, რომ ვ. ი. ლენინის ნაწარმოებები თარგმნილია მსოფლიოს 99 ენაზე. და ეს „ენციკლოპედიაზრენეს“ კორესპონდენტს საბჭოთა კავშირის წიგნის პალატაში აცნობეს, რომ ვ. ი. ლენინი გამოიცა მსოფლიოს კიდევ ერთ ენაზე — ბუჯართი ენაზე (ინდოეთი).

ამ ენაზე პირველად გამოვიდა ვ. ი. ლენინის ნაშრომთა კრებული საერთო სახელწოდებით „რა არის საბჭოთა ხელისუფლება?“.

ვ. ი. ლენინის სიტყვა ჭეშმარიტად ყველა ენასა და კილოკავზე ისმის!

სკკპ დელეგაცია ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 8 იანვარი. (საკადრისი და „პრავდის“ კორესპონდენტები). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელიც სტუმრადაა ჩეხოსლოვაკიაში ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით, ორ კვირეულად გაიყო და გუშინ ეწვია დასავლეთ ჩეხიისა და აღმოსავლეთ ჩეხიის ოლქებს. დელეგაციის ნაწილმა, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი პ. ნ. პაპუშევი მეთაურობს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტიურ რესპუბლიკაში საბჭოთა ელჩის ს. ვ. ჩერვონენკოს თანხლებით გუშინდელი დღე გაატარა პლზენში, სადაც ესაუბრა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის დასავლეთ ჩეხიის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებსა და მდივნებს თანამედროვე პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის შესახებ. შემდეგ საბჭოთა კავშირის კომუნისტების წარმომადგენლები იყვნენ ვ. ი. ლენინის სახელობის მანქანათსაშენებელ კომბინატ „შკოდაში“. იქ ისინი ესაუბრნენ სამეურნეო და პარტიულ ხელმძღვანელებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებს, საწარმოს მუშებს. დელეგაცია ეწვია აგრეთვე ი. ფუჩიკის მემორიალურ სახლ-მუზეუმს, სადაც უკანასკნელი წლები გაატარა ჩეხოსლოვაკიის ეროვნულმა გმირმა.

დელეგაციის მეორე ნაწილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრის, სსრ კავშირის ხაბაროვსკის მხარეთა საბჭოთა მინისტრის პირველი მოადგილის ვ. ვ. კუზნეცოვის მეთაურობით ეწვია აღმოსავლეთ ჩეხიის ოლქის ცენტრს გრადეცკრალოვეს. აქ საბჭოთა სტუმრები გაეცნენ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის საოლქო ორგანიზაციის ცხოვრებასა და მუშაობას, დაათვალიერეს ქალაქის ახალი უბნები, იყვნენ ოლქის უდიდეს, ძლევამოსილი თებერვლის სახელობის მანქანათსაშენებელ ქარხანაში. აგრეთვე პარდუბიცის ქიმიურ ქარხანაში. საწარმოებში დელეგაცია ესაუბრა სამეურნეო ხელმძღვანელებს, პარტიულ და პროფკავშირულ მუშაკებს.

გვიან საღამოს დელეგაცია პრაღაში დაბრუნდა.

შეხვედრები ელისეს სასახლეში

პარიზი, 7 იანვარი. (საკადრისი). საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა გენერალმა დე გოლმა დღეს მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ა. კირილინი, რომელიც მეთაურობს საბჭოთა დელეგაციას საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის მუდმივმოქმედი შერეული „დიდი“ კომისიის მესამე სხდომაზე. საუბრის დროს, რომელიც ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა, განიხილეს ფართო წრე საკითხებისა, რომლებიც ორივე მხარეს აინტერესებს, მათ შორის საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივები ხანგრძლივი პერიოდისათვის. აღინიშნა, რომ ორი კვეყნის თანამშრომლობა, რომელიც სულ უფრო ფართოვდება, შეესაბამება როგორც საბჭოთა ხალხის, ისე ფრანგი ხალხის ეროვნულ ინტერესებს, ხელს უწყობს მათი მეგობრული კავშირურთიერთობის განმტკიცებას და სხვადასხვა პოლიტიკური წყობილების სახელმწიფოთა კეთილი ურთიერთობის მაგალითს წარმოადგენს.

ზოგიერთი საერთაშორისო საკითხის განხილვის მსვლელობაში, რომლებსაც მხარეები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ, გამოირკვა, რომ ორივე ქვეყნის პოზიციები თანაემთხვევა ან უახლოვდება ერთმანეთს, რაც ამ ქვეყნების ღონისძიებების კარგი საფუძველია ევროპისა და მთელი მსოფლიოს დაცულობის შენელებისა და მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში.

საუბრის შემდეგ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ელისეს სასახლეში ვ. ა. კირილინს გაუმართა საუზმე, რომელშიც გულითადობისა და გულწრფელობის ატმოსფეროში ჩაიარა.

გენერალმა დე გოლმა და ვ. ა. კირილინმა სადღეგრძელოები წარმოთქვეს.

ომის ბიუჯეტი

პარიზი, 8 იანვარი. (საკადრისი). ისრაელის ფინანსთა მინისტრმა ზვი შარეფმა კნესეტს (პარლამენტს) წარუდგინა 1969-1970 წლების ბიუჯეტის პროექტი, იუწყება ფრანს პრესის სააგენტოს იერუსალიმელი კორესპონდენტი. 7,85 მილიარდი ისრაელური გირვანქა საერთო ხარჯებიდან „თავდაცვის საჭიროებისათვის“ გამოიყოფა 37 პროცენტი.

საკადრისის კომენტატორი ი. ტალოსკი ამასთან დაკავშირებით წერს:

ისრაელის პრესამ ახალ პროექტს ტყუილად როდი უწოდა „ომის ბიუჯეტი“. ამ ბიუჯეტში ასახა პოლიტიკური მიზნები, რომლებსაც ტელ-ავივი ისახავს. ისრაელის ხელმძღვანელობას არაერთხელ განუცხადებია, რომ ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის გადაწყვეტაში იგი ძალის იმედს იქონიებს — სწორედ ამის „მიზეზია ბიუჯეტის უზომოდ გაბერილი სამხედრო ნაწილი. ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე დიდი არმიის შენახვამ, ახალი სახეობის იარაღის შესყიდვამ მოითხოვა ასეთნებანი, რომლებიც ნთქავენ საგადასახადო შემოსულობათა სამ მეოთხედს.

ეკასახლის პოლიტიკაც ასახა ბიუჯეტში. შეეხო რა სხვადასხვა ქვეყნიდან ებრაელი მოსახლეობის იმიგრაციის გაორკეცების ასიგნებებს, ზვი შარეფმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ სახსრების დიდი ნაწილი მოხმარდება საბინაო მშენებლობას ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ეს, უმთავრესად, ეხება იერუსალიმის აღმოსავლეთ ნაწილს, რომელსაც ისრაელმა ანექსია უყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის რეზოლუციის საწინააღმდეგოდ.

უდიდესი მიღწევა კოსმოსის ათვისებაში

უცხოეთის გამოხმაურება „ვენერა-5“-ის გაშვების გამო

აშშ

ნიუ-იორკი, 8 იანვარი. (საკადისი). გაზეთი „კრისჩენ საიენს მონიტორი“ აღნიშნავს, თუ რა დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის „ვენერა-5“-ის გაშვებას.

„რუსები კვლავ მთავარ ყურადღებას უთმობენ ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურების „ვენერას“, წერს გაზეთი. სტატიაში აღნიშნულია რომ „ვენერა-5-ს თან მიაქვს მეტი სამეცნიერო და საზომი მოწყობილობა, ვიდრე მის წინამორბედს „ვენერა-4“-ს, და ამიტომ უნდა მოველოდეთ, რომ იგი უფრო ზუსტად ზომავს და მოგვაწვდის დამატებით მონაცემებს ვენერას ატმოსფეროს შესახებ.

„დამკვირებლებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ის სიმტკიცე, რომლითაც საბჭოთა კავშირი ახორციელებს საპლანეტათშორისო ფრენას. 1959 წლიდან რუსებმა გამოიყენეს თითქმის ყოველი ხელსაყრელი შესაძლებლობა მარსისა თუ ვენერასაკენ ხომალდების გასაგზავნად“.

გაღაღგა ლიბანის მთავრობა

ლონდონი, 8 იანვარი. (საკადისი). როგორც რეიტერის სააგენტოს მეიერუელი კორესპონდენტი აკატყობინებს, ლიბანის პრემიერ-მინისტრმა აბდალაჰ იაფიმ დღეს განაცხადა, რომ მან პრეზიდენტ შარლ ჰელუს გადასცა განცხადება თავის მთავრობის გადადგომის შესახებ. იაფიმ ეს განცხადება გაუკეთა ლიბანის კაბინეტის სხდომის შემდეგ, რომელსაც პრეზიდენტი ჰელუ ესწრებოდა.

როგორც იაფი აღნიშნავს, მისი კაბინეტის გადადგომა გამოწვეულია იმით, რომ მთავრობის წევრთა შორის „არ არის თანხმობა“. დასავლეთის ზოგიერთი პოლიტიკური მიმოხილვიანი ამ გადადგომას უკავშირებს ლიბანის უკანასკნელ ამბებს, რომლებიც მოხდა ბეიროუთის საერთაშორისო აეროპორტზე ისრაელის მხედრიონის პროვოკაციული თავდასხმის შემდეგ.

ბულგარეთი

სოფია, 8 იანვარი. (საკადისი). საბჭოთა ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის „ვენერა-5“-ის ფრენას ფართოდ ეხმაურება ბულგარეთის პრესა. გაზეთები მიუძღვნენ უცხოეთის მრავალ გამოხმაურებას ამ მოვლენის გამო, ხაზს უსვამენ, რომ ახალმა საბჭოთა კოსმოსურმა ექსპერიმენტმა ყველაზე დიდი ინტერესი გამოიწვია და რომ იგი, უეჭველია გამდიდრებს მეცნიერებას საყურადღებო მონაცემებით სამყაროს შესახებ. „რაბოტნიჩესკი დელო“ ბეჭდავს ცნობილი ბულგარელი მეცნიერის ნ. კალიცინის სტატიას „ვენერაზე ავტომატური სადგურის შექმნის წინ“. დაწვრილებით შეეხო რა წინა თხი სადგურის გაშვებასა და ამ ექსპერიმენტების დროს მიღებულ მეცნიერულ მონაცემებს, ავტორი წერს:

გამორიცხული არ არის, რომ ამჯერად საბჭოთა კონსტრუქტორებმა გაითვალისწინეს იმის შესაძლებლობა, რომ ვენერაზე რბილად დაჯდომის შემდეგ სადგური განაგრძობს რადიოკავშირს დედამიწასთან. ამ შემთხვევაში ვენერას ზედაპირზე მოქმედი პირველი ავტომატური სადგური ამოხსნის მთელ რიგ საიდუმლოებებს, რომლებსაც ინახავს ეს ღამაზი პლანეტა.

საფრანგეთი

პარიზი, 8 იანვარი. (საკადისი). საბჭოთა ოსტირვატორიამ სადგურ „ვენერა-5“-ს ფოტოსურათი გადაუღო იმ დროს, როცა იგი დედამიწიდან დაშორებული იყო 150.000 კილომეტრით. — შავი შრიფტით აწყობილი ეს ცნობა დაბეჭდა გუშინ „ლუმანიტემ“. სადგურის ფრენისადმი მიძღვნილ წერილში გაზეთი წერს, რომ ყაზახმა მეცნიერებმა, რომლებიც ფოტოგრაფირებას აწარმოებდნენ, შეძლეს ძალიან მაღალი ხარისხის სურათების მიღება.

„ლუმანიტი“ ხაზს უსვამს აგრეთვე, რომ ელექტროენერგიის საპლანეტათშორისო სადგური უფრო სრულყოფილია, ვიდრე მისი წინამორბედი „ვენერა-4“.

გაზეთი „ფიგარო“ აღნიშნავს, რომ ავტომატური საპლანეტათშორისო სადგური „ვენერა-5“ შეაღწევს და დაიზუსტებს სადგურ „ვენერა-4“-ის ფრენის შედეგად მიღებულ მონაცემებს.

ინდოეთი

მეხსიკა, 8 იანვარი. (საკადისი). მეხსიკის ყველა გაზეთი თვალსაჩინო ადგილებზე ბეჭდავს ცნობას იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირმა გაუშვა ავტომატური საპლანეტათშორისო სადგური „ვენერა-5“, საბჭოთა სადგური დაეშვება და გამოიკვლევს საიდუმლოებით მოცულ პლანეტას“, — აღნიშნავს „ოპასნოსტი“. პრესა აღნიშნავს, თუ რა ძნელია „კოსმოსის ახალი ათვისების ეს ექსპერიმენტი და ხაზს უსვამს, რომ „ეხლანდელ ვენერას საიდუმლოებათა ამოხსნა კოსმოსური მეცნიერების ერთ-ერთი ამოცანაა 1969 წელს“.

ფაქტები

● ჰანოი, 8 იანვარი. (საკადისი). სამხრეთ გეტნამის განთავისუფლებისსახლობა შეიარაღებული ძალების ქვეკანაყოფებმა 5 იანვარს განადგურეს ამერიკელ-საგონ ჯარის ქვეკანაყოფთა წინააღმდეგ 30 კილომეტრზე დანაგვის სამხრეთ-დასავლეთით და მარიონეტული ჯარების წინააღმდეგ ბიუროს ბრძოლები. მოწინააღმდეგეს საკმაო ზარალი მოუვიდა.

● ლონდონი, 8 იანვარი. (საკადისი). ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესის გენერალურმა საბჭომ თავის სპეციალურ სხდომაზე ერთსულოვნად უარყო მთავრობის გეგმები ახალი ანტიმუშური კანონმდებლობის შემოღების შესახებ. გენერალურმა საბჭომ მთავრობის წინადადებებს „სრულიად მიუღებელი“ უწოდა.

● ლონდონი. (საკადისი). კომპანია „რენოლდ ლიმიტედის“ მანჩესტერისა და კოვენტრის მანქანათსაშენებელ საწარმოებში მომუშავე ცხრაასზე მეტმა ქალმა გამოაცხადა გაფიცვა. ისინი მოითხოვენ ხელფასის მომატებას და მამაკაცების თანაბარი მრომის ანაზღაურებას. ამგვარად ამ საწარმოებში, ისევე როგორც ინგლისის მეტ წილ საწარმოებში, ქალებს მამაკაცებთან შედარებით ბევრად ნაკლებ ხელფასს აძლევენ.

ამ. ე. მელიქიანცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაიცვალა ძველი რევოლუციონერი, სკკპ წევრი 1918 წლიდან, პერსონალური პენსიონერი მინას ეფანატეს-ძე მელიქიანცი.

მ. მელიქიანცი დაიბადა 1883 წელს, თბილისის სახელოსნო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1903-დან 1914 წლამდე იგი კერძო სავაჭრო საწარმოებში მუშაობდა, ავრცელებდა პროკლამაციებს, მონაწილეობას იღებდა გაფიცვებში, პოლიტიკურ დემონსტრაციებში, იატაკქვეშა წრეებში, არალეგალურ მასობრივ კრებებსა და მიტინგებში. 1908 წელს იგი ერთ-ერთი გაფიცვის ორგანიზატორი იყო. 1914 წელს დაპატიმრებულ იქნა და 1917 წლამდე გადასახლებაში იყო ირკუტსკის გუბერნიაში.

შემდეგ თბილისში დაბრუნდა და არჩეულ იქნა ვაჭრობისა და მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის გამგეობის წევრად, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს წევრად, საქართველოს პროფსაბჭოს წევრად, ავრცელებდა ბოლშევიკური ლიტერატურას, მონაწილეობდა მიტინგებში, რისთვისაც მენშევიკები დევნიდნენ.

დევნისაგან თავის გადასარჩენად გაიქცა სომხეთში, შემდეგ ალექსანდროპოლში, სადაც პარტიულ მუშაობას ეწეოდა, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბოლშევიკური მაისობის მოწყობაში, მონაწილეობდა დაშნაკების წინააღმდეგ აჯანყებაში.

1921 წელს მ. მელიქიანცი მუშაობდა საკავშირო პროფსაბჭოს კავკასიის ბიუროში, შემდეგ სწავლობდა პროფმოძრაობის უმაღლეს კურსებზე მოსკოვში, კურსების დამთავრების შემდეგ გამოიგზავნა საქართველოს პროფსაბჭოს განკარგულებაში.

ამ დროიდან მოკიდებული მ. მელიქიანცი მუშაობდა პროფკავშირულ ორგანოებში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე.

მ. მელიქიანცი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენიანი შრომის წითელი დროშის ორ ორდენით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

გულსისხმიერი ადამიანის, პარტიისა და ხალხის საქმის ერთგული მუშაკის ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენს გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

კანადამ გადაწყვიტა...

კანადის პრემიერ-მინისტრის განცხადება

ლონდონი 8 იანვარი. (საკადესი). **კანადის პრემიერ-მინისტრმა პიერ ტრიუდომ გუშინ აქ განაცხადა, გამორიცხული არ არის, რომ ჩემი ქვეყანა ნატოდან გამოვიდესო.**

ეს ახარი ტრიუდომ გამოთქვა ავრეთვე რამდენიმე დღის წინათ ბი-ბი-სისადმი ინტერვიუში. მაშინ მან თქვა, რომ მისი მთავრობა გულდასმით გადასინჯავს კანადის საგარეო პოლიტიკის, თუ გადაწყვიტეთ, განაცხადა ინტერვიუში პრემიერ-მინისტრმა, ნატოს ოცი წლის წევრობის შემდეგ გაცნობოთ, რომ გამოვდიეართ ამ ორგანიზაციიდან, როგორც ამას სხვათა შორის, თვალისწინებს ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულება, ჩვენ კიდევაც ვაცნობებთ ამას.

როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, გუშინ კორესპონდენტები კვლავ შეეკითხნენ ტრიუდოს, დასაშვებად მიაჩნია, თუ არა მას ნატოდან კანადის გასვლა. „დიახ, ეს შესაძლებელია“, — უპასუხა კანადის პრემიერმა.

ტრიუდოს განცხადებამ ნერვიულობა გამოიწვია ლონდონის ოფიციალურ წრეებში. როგორც გაზეთ „დეილი ექსპრესი“ იუწყება, ინგლისის პრემიერ-მინისტრი ჯეილსონი და მისი კაბინეტის წევრები ძლიერ ზეგავლენას ახდენენ ტრიუდოზე.

სროლა მდინარე იორდანზე

ამანი, 8 იანვარი. (საკადესი). გუშინ ისრაელის არტილერიამ ნაშუადღეზეს ციცლი დაუშინა იორდანის ტერიტორიას მდინარე იორდანის ხეობის ჩრდილოეთ ნაწილში დამის ხდის რაიონში, — განაცხადა იორდანიის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელმა.

სროლის შედეგად, რაც სამ საათს გრძელდებოდა, იორდანიის მხარეს ზარალი არ მოსვლია.

მოგვიანებით ამავე რაიონში ისრაელმა კვლავ დაარღვია შეთანხმება ციცლის შეწყვეტის შესახებ. იორდანიის არმიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ სროლის შედეგად ისრაელის მხარეს მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი მოუვიდა.

ერთხელ კიდევ იოზეფ პაველის საქმიანობის შესახებ

ჩეხოსლოვაკიელი ისტორიკოსის სტატია ბულგარულ გაზეთ „ოტეჩესტვენ ფრონტში“

ბულგარულმა გაზეთმა „ოტეჩესტვენ ფრონტმა“ 5 იანვარს გამოაქვეყნა ჩეხოსლოვაკიელი ისტორიკოსის მეორე სტატია ჩეხოსლოვაკიის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის იოზეფ პაველის საქმიანობის შესახებ. ქვემოთ იბეჭდება ამ სტატიის თარგმანი.

1968 წლის 20 ივლისს გაზეთმა „ოტეჩესტვენ ფრონტმა“ გამოაქვეყნა ჩეხოსლოვაკიელი ისტორიკოსის სტატია[1], რომელშიც ავტორმა მოიყვანა იმის ზოგიერთი დამადასტურებელი საბუთი, თუ რა სერიოზულად აღიარებდა კანონიერებას ორმოცდაათიანი წლების პერიოდში იოზეფ პაველი, რომელსაც იმ დროს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის პოსტი ეჭირა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩეხოსლოვაკიის მასობრივი ინფორმაციის ორგანოებს თანამშრომლები მეტად თავგამოდებით მუშაობდნენ კანონიერების დარღვევის იმ შემთხვევათა გამოვლინებაზე, რომლებიც ორმოცდაათიან წლებში ხდებოდა, მათ არავითარი მნიშვნელობა არ მისცეს ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტოს 1968 წლის 27 ივლისის ცნობას, ჩვენმა დაწესებულებებმა კი არაერთარი ზომები არ მიიღეს იმისათვის, რომ ცხადეყოთ, თუ რამდენად დასაბუთებული იყო პაველის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებანი.

საკითხავია: რატომ?

ცნობებმა, რომლებიც ქვემოთ არის მოყვანილი, თვითეული მოქალაქე უნდა გააკვირვოს.

იოზეფ პაველი, რომელსაც მაშინ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის პოსტი ეჭირა, ორმოცდაათიანი წლების პერიოდში რ. სლანსკისთან, რეიცინთან, ზვაბო

მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე

აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის ხსოვნას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერის დანაკარგი

როგორც უეცრად მოიკრება ქარიშხალი, ისე მოულოდნელად გამოჩნდა შალვა ნუცუბიძე ქართული ფილოსოფიური აზროვნების სარბიელზე. ორიგინალურად დაწერილი მეცნიერული გამოკვლევებით, ფართო ლიტერატურული მოღვაწეობითა და ხატოვანი, ბრწყინვალე ორატორული ტალანტით შალვა ნუცუბიძემ მშობელი ერის დიდი სიყვარული უმალვე მოიპოვა.

ეს სიყვარული ზოგჯერ ლეგენდად იქცეოდა, იმდენად ღრმა იყო ხალხის გატაცება შალვა ნუცუბიძის არაჩვეულებრივი ნიჭიერებით. როგორც ორატორ-ტრიბუნს მას ბადალი არა ჰყავდა ქართველ ფილოსოფოსთა შორის, ხოლო აზროვნების სიღრმით, მრავალმხრივი ცოდნითა და წერის მანერით იგი ახალ ფორმაში აღადგენდა დიდი ქართველი ოქროპირების შარავანდედს.

გადაჭარბებული როდი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ქართულ ფილოსოფიას, პეტრიწის შემდეგ, ასე ღრმა ანალიტიკოსი არა პყოლია და იმდენი არ გაუკეთებია ევროპული იდეალისტური ფილოსოფიის კრიტიკის დარგში, რამდენიც შალვა ნუცუბიძეს. ჩვენს დროში მან პირველმა შექმნა ფუნდამენტალური ორტომიანი გამოკვლევა ქართული ფილოსოფიის ისტორიაში, ქართულ ენაზე პირველმა გამოსცა „ლოგიკისა“ და „ხელოვნების თეორიის“ სახელმძღვანელოები, რომ აღარაფერი ვთქვათ „ალეთოლოგიის საფუძვლების“ ერთ-ერთი ფუძემდებელი, წლების მანძილზე მისი პროფესორი, ფაკულტეტის დეკანი, კათედრის გამგე, სახელგანთქმული პროფესორი, სახელმძღვანელოების ავტორი.

მრავალრიცხოვანი გამოკვლევებით, რომლებიც დაწერილია მაღალ მეცნიერულ დონეზე, შალვა ნუცუბიძემ პირველი ადგილი დაიკავა თანამედროვე ქართველ ფილოსოფოსთა შორის, ხოლო ისინი, რა დასამალია, მისი ან მოწაფეები იყვნენ ან მის მიერვე შთაგონებულნი ამ დარგში სამოღვაწეოდ. ძლიერ წინამორბედს ხშირად ძლიერი თაობა მოპყვება. შეიძლება ესეც არის ერთ-ერთი მიზეზი, რომ დღეს ქართული ფილოსოფიური სკოლა ასე გამოირჩევა.

თუ რა გააკეთა ნუცუბიძემ, როგორც გამოჩენილმა ფილოსოფოსმა, ქართული აზროვნებისათვის, საკმარისია მარტო ერთი ნაშრომის გახსენებაც.

წიგნში „ხელოვნების თეორია“, რომელიც 1929 წელს გამოვიდა, როგორც მონისტური ესთეტიკის საფუძვლები, ნუცუბიძემ არა მარტო იმის დასაბუთება სცადა, რომ ისტორიულად „შემეცნებისა და შემოქმედების თეორიას ერთი სავალი გზა ჰქონდათ“, არა მარტო ის აღნიშნა, რომ ავტორი ეურდნობა „დიალექტიკური მატერიალიზმის არსენალს“ ესთეტიკურ პრობლემათა კვლევა-ძიების დროს; არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო იმის ხაზგასმა, თუ როგორ სუსტდება დილტაის „სულიერი მეცნიერება“ და იმარჯვებს „მარქსისტული იდეოლოგია“.

ალეთოლოგიური დანაშრევების მიუხედავად, რასაც კრიტიკის ობიექტად ვაქცევდით ხოლმე, ნუცუბიძემ მონისტური ესთეტიკის არა ერთი პრობლემა სწორად გაარკვია, პირველმა მოგვცა კანტის ესთეტიკური სისტემის მეცნიერული კრიტიკა ქართულ სინამდვილეში, კერძოდ, ხაზი გაუსვა იმ კატასტროფას, რასაც ტრანსცენდენტალური ფილოსოფია შეიცავს, როცა ესთეტიკური ფენომენი და განცდა სრულიად გათიშულია. მონისტური თვალსაზრისით ასევე ღრმად იყო გაკრიტიკებული ჰეგელის სისტემა და ნეოპლატონიკური მოძღვრება. როგორც მშვენიერის, ისე ამაღლებულის კატეგორია ნუცუბიძემ იდეალიზმის მისტიკურ სავანეს მოსწყვიტა და მატერიალისტურ მსოფლგაგებას დაუბრუნა, როგორც მეცნიერული შემეცნების ჭეშმარიტ სამყაროს.

ახლადაღორძინებული ქართული ფილოსოფიური აზროვნებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმის გარკვევასაც, რომ ესთეტიკური კატეგორიები, როგორადაც უნდა შემოსონ მეტაფიზიკური დოლბანდით, ყოველთვის მჭიდროდ არიან სოციალურთან ასიმილირებულნი. ამ პოზიციიდან გაკრიტიკა ნუცუბიძემ როგორც პლატონი და კანტი, ისე ჰარტმანი, დესუარი, მოიმანი და ფსიქოლოგისტური ესთეტიკა საერთოდ.

მთელ კულტურულ მსოფლიოში დღეს ფართოდ არის ცნობილი შალვა ნუცუბიძის აღმოჩენა არეოპაგიტიკაში, რითაც ფსევდო-დიონისეს საკითხი საბოლოოდ გაირკვა პეტრე იბერის სასარგებლოდ. აღარაფერს ვამბობთ დიდ მონოგრაფიაზე — „რუსთაველი და აღმოსავლეთის რენესანსი“, რომელშიც უზვი ფაქტიური მასალით დადასტურდა აღმოსავლეთის წინამორბედობა ევროპული რენესანსისა.

შალვა ნუცუბიძეს ენციკლოპედიური ცოდნა ჰქონდა. ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით და მისი ფილოსოფიურ-ლიტერატურული მემკვიდრეობაც ენციკლოპედიურობის ბეჭედს ატარებს. მისი სახელი ქართული კულტურის ისტორიაში შევიდა, როგორც ერთი დიდი ნიშანსვეტი სულიერი წარმადობის ორიგინალური მოვლენისა.

გიორგი ჯიბლაძე,
აკადემიკოსი.

შალვა ნუცუბიძე.

დიდი ტალანტი

ან ბერლინში გერმანულ ენაზე გამოცემული, იმ დროს მეტად გახმაურებული, მოზრდილი გამოკვლევების შესახებ.

მაგრამ ყოველივე ეს თითქოს ცოტა იყო ნუცუბიძის მუდამ ღრმა კვლევით გატაცებული მაღალი გონებისათვის. ფილოსოფიური პრობლემების მეცნიერული ანალიზის პარალელურად, იგი იშვიათი ნაყოფიერებით მუშაობდა, როგორც უაღრესად განათლებული ლიტერატორი, პოეტიკისა და ესთეტიკის სპეციალისტი.

საქვეყნოდ გაითქვა სახელი შალვა ნუცუბიძის თარგმანებმა ქართული ლიტერატურული ძეგლებისა რუსულ ენაზე. საკმარისია დავასახელოთ რუსთაველის გენიალური ქმნილება „ვეფხისტყაოსანი“, აგრეთვე შავთელისა და ჩახრუხაძის პოემები.

ჩვენი დროის მართალი ისტორიკოსი ვერასოდეს გვეყრდს ვერ აუვლის იმ ჭეშმარიტებას, რომ ნუცუბიძე პირველი იყო, რომელმაც 1926 წელს, გერმანიაში სამეცნიერო მივლინებიდან დაბრუნებულმა, თავისი მოხსენებით თბილისის უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტისადმი კატეგორიულად დააყენა საკითხი ქართული ფილოსოფიური აზროვნების უცხოური ტრაფარეტისაგან გათავისუფლების შესახებ. ბერლინის უნივერსიტეტში ცნობილ ფილოსოფოსებთან კამათის შემდეგ ნუცუბიძემ წამოაყენა დებულება, რომ „არც მუშაობის მასშტაბით და არც მისი ხარისხით“ ფილოსოფიური კვლევა-ძიება ბერლინის უნივერსიტეტში „ჩვენთვის საოცნებოს“ არაფერს შეიცავს“. ამით ლაზარი ჩაეცა როგორც დასავლეთ ევროპის წინაშე ქედმაღლობილობას, ისე განდიდებულ იქნა ახლადდაარსებული თბილისის უნივერსიტეტის მეცნიერული ავტორიტეტი.

თუ დღეს ეს ავტორიტეტი საქვეყნოდ ცნობილია, დიდი დამსახურება ამ მხრივ უეჭველად მიუძღვის შალვა ნუცუბიძეს იმ პლეადასთან ერთად, რომელმაც ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით ჩვენს მშობლიურ უნივერსიტეტს საფუძველი ჩაუყარა და აღადგინა საქართველოში უმაღლესი განათლების თვეკუმეტსაუკუნოვანი მტვრით დაფარული მდიდარი ტრადიცია. ნუცუბიძე იყო ჩვენი უნივერსიტეტი

ღვაწლმოსილი

ქართულმა საბჭოთა მეცნიერებამ მეცნიერებისა და იმდროინდელი საქართველოს კულტურის საკითხებით და გადათარგმნა რუსულად „ვეფხისტყაოსანი“. დიდი რუსი მწერალი აკადემიკოსი ალექსეი ტოლსტოი ამბობს, რომ რუსთაველის ნუცუბიძისეული თარგმანი სათავეს უდებს აღმოსავლეთის რენესანსის შესწავლის ახალ ეპოქას. მართლაც, თვით ეს ცნება „აღმოსავლური რენესანსი“ პირველად შემოიტანა მსოფლიო მეცნიერებაში შალვა ნუცუბიძემ.

მახსოვს, როცა შ. ნუცუბიძემ წინასწარ გაგვაცნო კოლეგებს ამ ძნელ პირობებში უნდა მომეხერხებინა ფეხით წასვლა, რადგან სხვა არავითარი საშუალება არ იყო.

როცა ჩაიკოვსკის „კომიტეტი“ ეგრეთწოდებულ „პოლიციისკი“ ხიდს მიუახლოვდა „აღმოჩნდა, რომ აქ უკვე იდგნენ მუშათა ბატალიონების პიკეტები. ჩაიკოვსკი თავის „კომიტეტიანად“ შეაჩერეს.

— ჩვენ საზოგადოებრივი დაცვის კომიტეტი ვართ, — განუცხადა ჩაიკოვსკიმ, — და ზამთრის სასახლის მოედანზე მივდივართ.

პიკეტის ხელმძღვანელმა ჰკითხა: „იქ ბრძოლაა, ხომ გესმით, და თქვენ ვისი დაცვა გაქვთ მიზნად?“. ჩაიკოვსკი დაიბნა, ვეღარც წინ წავიდა, ვეღარც უკან. მე ამ ჩოჩქოლით ვისარგებლე და მარტო განვაგრძე გზა. არავის გავუჩერებივარ. მაგრამ როცა ის ადგილს მივაღწიე, სადაც ცხენოსანი გვარდიის ყაზარმების შესასვლელი კარი იყო, ჩემთვის აშკარა გახდა, რომ ნაბიჯის გადადგმა შეიძლებოდა საბედისწერო ყოფილიყო. გამოსავალი არ იყო. გადავწყვიტე ეს საბედისწერო მანძილი გადამერბინა. სასწაულებრივად გადავრჩი, ნეიის პროსპექტის მეორე მხარეზე გავედი, საადმირალო კოშკს მოვეფარე და ალექსანდრეს პარკში შევედი. ხელმარცხნივ ისაკის საკრებულოს შენობას რომ გავცდი, ნაბიჯს კიდევ უფრო მოვუჩქარე.

ხალხი გარბოდა. ვისაც არ ვკითხე, ამის მიზეზი არავინ მითხრა, ერთმა მხოლოდ ჩემკენ მოუბრუნებლად ასეთი ფრაზა მესროლა:

— ნიკოლოზის ხიდს ხსნიან და მოუჩქარეთ.

მივხვდი, რომ საქმე ცუდად იყო. ხალხთან ერთად გავიქეცი. ხიდთან რომ მივედით, გვითხრეს, ხიდს ხსნიან ვასილის კუნძულის მხრიდან და უკვე შეუძლებელია კუნძულზე გადახვლაო. ორმა მუშამ, რომელთაც შინ მისვლა ჩემსავით ეჩქარებოდათ, გადაწყვიტა გაქცევა. მეც მათ ავყევი, ხიდი დაინჯრა, მისი თავი ვასილის კუნძულის ნაპირს ნელა მოსცილდა, ჩვენ როცა იქ მივირბინეთ, მისამაგრებელზე მოხსნილი ხიდი მეტრზე მეტი იყო მოშორებული გალმა ნაპირს.

ჩემი თანამგზავრი მუშები ერთ წუთს შეჩერდნენ და კუნძულის ნაპირზე გადაეშვნენ. ამან გამათამამა, თვალი ავარიდე ვეებერთელა ჩასავარდან მანძილს მოძრავი ხიდიდან წყლის ზედაპირამდე, და მეც გადავეშვი ვასილის კუნძულზე.

ჩვენ სამის გარდა კაცი არ დაძრულა ადგილიდან. უკან მოვიხედეთ, ხიდი უკვე დიდ მანძილზე იყო ნაპირიდან. ჩრდილოეთისაკენ მივიხედე და ნვიმიან შემოდგომის ბურუსში გემის სილუეტი დავინახე.

— ეგ „ავრორაა“, — უთხრა ერთმა მუშამ მეორეს. სასახლის მოედანი იქიდან არც ისე შორს იყო. ხროლის გრიალი ისმოდა.

— იქით მიდის, — ორაზროვნად თქვა ერთმა მუშამ მეორის გასაგონად. მე გამოვფიზზლდი და მეგობრულად ვკითხე:

— ეგ რა არის?

— არ გესმით? ბრძოლა ამ სასახლის მოედანზე! — ეგ არის ხამხელრო გემი „ავრორა“. ეგეც იქ მიდის.

„ავრორა“ ამ დროს სულ გაგვისწორდა. თითქოს ქშინავდა, ნელა მიდიოდა, დახურული ნათურებით ინათებდა გზას.

უფრო ხალისიანად მოლაპარაკე მუშამ მითხრა:

— გავყვეთ ცოტაზე, აქ ყველგან სანაპირო საცავებია, არც ისე საშიშია.

არ დაუცადეს ჩემს პასუხს, ორივენი სანაპიროს გაუდგნენ. მარტო დარჩენას მათი გაყოლა ვარჩიე. ვიყავით იმ ადგილზე, სადაც აფრიკიდან ჩამოტანილი სფინქსი იდგა.

უნივერსიტეტს ჩავუარეთ. აკადემიის შენობამდე მივედით, „ავრორა“ არ ჩქარობდა. სასახლის სილუეტი შესამჩნევი გახდა, მოედანზე ბრძოლა უფრო და უფრო გახშირდა, სასახლის ბალის კუთხიდა და საადმირალო ბაღის შუა ბოჩკარიოვის ბატალიონის განლაგებას თოფის სასროლზე ვამჩნევდით. არ ეტყობოდა, რომ მებრძოლები „ავრორას“ გრძნობდნენ.

უეცრად პეტრე-პავლეს ციხიდან ზარბაზნის ჭახანი გაისმა. იქით გახედვაც ვერ მოვასწარით, და „ავრორას“ წინ გაიელვა და ზარბაზნების გრიალი გაისმა. ჩაჯეკილი ფინური გრანიტისაგან აგებულ საფარის გვერდით, ერთი წუთით თითქოს ყველაფერი შეწყდა, რასაც დიდი ანმოურება მოჰყვა. ყველაფერი ერთბაშად აიშალა.

„ავრორას“ მეტი არ უსვრია, მისი ნასროლი არაფერს მოხვედრია. არაფერი არც ჩამონგრეულა და არც იწვოდა. ხალხის მასამ სასახლეს მიაშურა. სროლა თითქოს არ ისმოდა. ზურგიდან მომდგარმა „ავრორამ“ ჩანს მიზანს მიაღწია, რადგან ხალხი დაიფანტა და ბრძოლაც მუშათა ბატალიონის შეტევის შემდეგ თითქოს შეწყდა.

ჩემი თანამგზავრი მუშები წამოდგნენ და ინტერესით უყურებდნენ მოედნის იმ ნაწილს, სადაც ცოტა რამ ჩანდა. ხალისიანად მოლაპარაკე მუშამ თქვა:

— «Здорово «Аврора» их напугала»!

მეტი არაფერი დამინახავს და არც გამიგონია. მუშებს მივყევი ვასილის კუნძულის პირველ ხაზამდე. აქედან გავუდექი ჩემს გრძელ გზას პეტროგრადის მხარის ტუჩოვის ხიდამდე.

ასე დაიწყო ჩემს თვალწინ სოციალისტური რევოლუცია.

ალექსანდრე ბარამიძე,
აკადემიკოსი.

შალვა ნუცუბიძე თავის ბალში (გლდანი).

ღრმა კვალი დაუვიწყარი

ნაწყვეტი მოგონებიდან „ოქტომბრის გადატრიალება“

„კომუნისტის“ კუბლიკაცია

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის სამუზეუმო ფონდში არის საქაღალდე წარწერით: „ბამოჩნენილ ადამიანთა წერილები“. ამ საქაღალდეში ინახება სახელოვან მამულიშვილთა ხელნაწერები. ბევრი გაზეთის ფურცლებზე, ზოგიერთი კი დღემდე შემორჩა დაუბეჭდავი.

რედაქციის ამ ფონდიდან დღეს მკითხველებს ვთავაზობთ აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის მოგონებას.

ვერც სრულიად რუსეთის თათბირმა მოსკოვში, ვერც დემოკრატიულმა თათბირმა მაშინდელ პეტროგრადში და ვერც დროებითმა პარლამენტმა ვერ აიცდინეს კადეტურ-მენშევიკურ-ესერული კოალიციის ისტორიული აუცილებლობით გადაწყვეტილი პოლიტიკური კატასტროფა.

მოსკოვის თათბირს არავითარი პოლიტიკური პლატფორმა არ გააჩნდა. მას უნდა დაემყარებინა სამოქალაქო ზავი რევოლუციასა და კონტრრევოლუციას შორის, რაც, ცხადია, შეუძლებელი იყო. ირაკლი წერეთლისა და როძიჩკოს ამბორმა ვერ შეარიგა ეს ორი ერთიმეორისათვის დაპირისპირებული ბანაკი.

დემოკრატიულმა თათბირმა პოლიტიკური სკანდალით დაამთავრა თავისი არსებობა. მან ვერ გადაწყვიტა დროებითი მთავრობის შემადგენლობის საკითხი — იქნებოდა მთავრობა კოალიციური თუ სამადგენლობის — ესერებიდან ცალკეულ პირებს ეკავებოდა ადგილი, ოღონდ ინდივიდუალურად, ანუ ინტელიგენტურ-ინტელიგენტურ საფუძველზე.

**ეს ინტელიგენტური ინდივიდუალიზმი ბოლშევიკებმა ბოლო ამოსავალ ადგილად აქციეს. ბოლშევიკებმა ეს ინტელიგენტური ინდივიდუალიზმი

მხიარულად ატარებენ ზამთრის არდადეგებს ჩვენი რესპუბლიკის მოსწავლეები. ამას ძალიან შეუწყო ხელი თოვლიანმა დღეებმა. არდადეგების დროს ბევრმა თბილისელმა მოსწავლემ არაერთი დღე გაატარა ფუნიკულორის პლატოზე, სადაც კულტურისა და დასვენების პარკის თოვლით დაფარულ ტერიტორიაზე ისინი სრიალებენ ციგებით, დადიან თხილამურებით, ტკბებიან ნამდვილი ზამთრის სუფთა ჰაერით. სურათზე: თბილისელი მოსწავლეები ს. ათოიანი (99-ე საშუალო სკოლა), რ. იაკობაშვილი (39-ე საშუალო სკოლა) და ჯ. ხოზვინი (42-ე საშუალო სკოლა) ფუნიკულორის პლატოზე.

ფოტო ს. კილაძისა.

ამინდი

ყინვა და მზე

საქართველოს ბევრ რაიონში კვლავ ყინვები და ქარები. 7 იანვარს მოელი დღე-ღამის განმავლობაში დასავლეთ საქართველოს რიონის ხეობაში ისევ მძვინვარებდა გრიგალისებური ქარი.

ბათუმში ამ დღეს თბილოდა. ტემპერატურა იყო პლუს 11 გრადუსი, გაგრაში — 10, დასავლეთ საქართველოში თოვლის ხაბურველით მარტო რაჭა-ლეჩხუმის მთებია შემოსილი, ბარში კი სიმშრალეა.

8 იანვარს დღის 12 საათზე მესტიაში აღინიშნა 5 გრადუსი ყინვა, ბორჯომში — 1 გრადუსი, საგარეჯოში — 3, სოხუმში 7 გრადუსი სითბო, ბათუმში — 10 გრადუსი, ქუთაისში — 5, თბილისში მთელ დღეს მზე კაშკაშებდა, მაგრამ ტემპერატურა მაინც მინუს 2 ვრადუსი იყო.

9 იანვარს დღისით მოსალოდნელია დასავლეთ საქართველოში 6-11 გრადუსი სითბო, აღმოსავლეთ საქართველოში 2-5 გრადუსი ყინვა. თბილისში ვარაუდობენ 2-4 გრადუს ყინვას.

შემოქმედებითი ფრთოვნული ბიბლიოთეკა ფრდით

მუსიკა

დედაქალაქის საკონცერტო დარბაზებში

საორკესტრო ხმოვანების ფუძე — კონტრაბასი საუკუნეების მანძილზე მხოლოდ ბასის ფუნქციისათვის იყო განკუთვნილი. მეთვრამეტე საუკუნის ბოლოდან სავიოლინო და სავიოლონჩელო ხელოვნების მაღალი დონე სტიმულს აძლევს სოლო-საშემსრულებლო კულტურის დანერგვას კონტრაბასზე. ამ ისტორიული გარდატეხის დასაბამი ძირითადად დაკავშირებულია უდიდესი კონტრაბასისტის დომენიკო დრაგონეტის სახელთან, რომელმაც თავისი სრულყოფილი, ვირტუოზული ტექნიკით, ხავერდოვანი, მღერადი ბგერით და მხატვრული შესრულების სიღრმით თანამედროვე საზოგადოებას ამცნო ამ „გიგანტური“ საკრავის სოლო-გამოსახველობითი შესაძლებლობანი.

თბილისში სოლო-საკონტრაბასო შემსრულებლობას ხანმოკლე ისტორია აქვს; 1931 წ. სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ი. გერტოვიჩის მიერ ს. კუსევიცკის კონცერტის შესრულების შემდეგ ჩვენი დედაქალაქის საზოგადოებას არ მოუსმენია ამ „დიდი გიოლინოს“ ხმა საკონცერტო დარბაზებში.

კონსერვატორიის ასპირანტი ვლადიმერ ოღლობერიძე (პროფ. ნ. საგჩენკოს კლასი) პირველი ქართველი მუსიკოსია, რომელიც ამას წინათ სოლო კონცერტით წარუდგა საზოგადოებას. დახვეწილი გემოვნების, ბგერის და ტექნიკის მაღალხარისხოვნების მეოხებით მან ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა.

ინტერუმენტული კანტილენის მაღალი კულტურა გამოამჟღავნა მუსიკოსმა შოსტაკოვიჩის „ადაგიოსა“ და ლალიძის „ელეგიაში“, სადაც მან კონტრაბასის დაბალი ტესიტურის პირობებში გვაგრძნობინა ჩელოსებური ყერადობა და დამაჯერებლად გადმოგვცა ლირიკული სახეების დრამატიზაცია ამ პიესების შუა ნაწილებში. ვირტუოზული სიმსუბუქით და შტრიხის მოქნილობით აღიბეჭდა ზემოთ აღნიშნულ ნაწარმოებებთან შედარებით სრულიად კონტრასტული — ბოტეზინის „ტარანტელა“ და რიმსკი-კორსაკოვის „ქელას გაფრენა“. აქვე მივუთითებთ მუსიკოსის არტისტული რწმენის და თავისუფლების გარკვეულ შეზღუდულობაზე. ამის მიზეზად ჩვენ ვთვლით მის უკომპრომისო დამოკიდებულებას სპეციალობისადმი და, რაც უმთავრესია, იშვიათ გამოსვლას საკონცერტო ესტრადაზე.

პროგრამის დამაგვირგვინებელი იყო ლასკას კონცერტი — ერთ-ერთი მეტად ძნელი, და მხატვრულად ღირსშესანიშნავი ნაწარმოები რომანტიულ საკონტრაბასო ლიტერატურაში. აქ ჰარმონიული ტოლფასოვნობით გამოვლინდა კონცერტანტის პროფესიონალური ღირსებები — შინაარსის ფართო გადმოცემა, რთული ფორმის გაგება, დინამიკის გააზრებული განაწილება სხვადასხვა ფაზებში, რიტმის სიცხადე და მრავალმხრივი ტექნიკა.

სოლისტთან კარგი ანსამბლი შექმნა ახალგაზრდა მუსიკოსმა ც. ცირეკიძემ, რომელმაც აკომპანიტორულ სიფაქიზესთან ერთად მთელ რიგ დამოუკიდებელ ეპიზოდებში გვიჩვენა „წმინდა“ პიანისტური გამომსახველობის უნარიც.

გ. ოღლობერიძის სოლო-კონცერტი მისი ბოჭკარა შემოქმედებით ზრდის, მაჩვენებელია და უეჭველად დადებით გავლენას მოახდენს ამ ჟანრის პოპულარობაზე ჩვენს მუსიკალურ პრაქტიკაში.

ალ. ლორია.

სურათზე: ვლ. ოღლობერიძე.

პოლარული სუნთქვა ტაშკენტში

ტაშკენტი, 7 იანვარი. (საკუთარი კორ.). წუხელ ტაშკენტში 26 გრადუსი ყინვა იყო.

— ეს ყველაზე დაბალი ტემპერატურაა აქ უკანასკნელი ოთხმოცდაათი წლის მანძილზე — გვაცნობა უზბეკეთის სსრ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოს განყოფილების უფროსმა ლ. ლიტვინოვამ. — მხოლოდ ერთხელ 1893 წლის 7 იანვარს ვერცხლიწყლის სვეტი დაეცა 25,3 გრადუსამდე. ეს „რეკორდული“ ყინვა ტაშკენტში მოიტანეს ულტრაპოლარულმა ნაკადებმა. ჩრდილოეთის სუნთქვა მოვიდა ახალი მიწიდან დასავლეთ ციმბირით.

ხუთი ტურის შემდეგ

ალმა-ატა, 7 იანვარს გაიმართა სსრ კავშირის ჩემპიონატის მორიგი მეხუთე ტური ჭადრაკში.

მწვავე ბრძოლით აღინიშნა ჩემპიონატის ლიდერის სახაროვისა და კლოვანის პარტია. რა თქმა უნდა, სახაროვს ძალიან სწადდა სატურნირო ცხრილში პოზიციის განმტკიცება, ამიტომ ინიციატივიანად თამაშობდა და საწადელსაც მიაღწია. ლიდერმა კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა აქტივში. წარმატებას მიაღწია აგრეთვე ჩროსმაისტერმა ვასიუკოვმა. ამჯერად მან დაამარცხა ნიკიტინი.

მეხუთე ტურის მეტ წილ პარტიებში ყაიმი აღინიშნა. სატურნირო ცხრილში ნახევარ-ნახევარი ქულა ჩაიწერეს ხოლმოვმა და ცეშკოვსკიმ, ლეინმა და ტალმა. ყაიმზე შეთანხმდნენ აგრეთვე გურგენიძე და ლუტიკოვი, ბაგიროვი და ი. ზაიცევი, პლატონოვი და პოლუგაევსკი, ოსნოსი და ლიბერზონი.

ავერბახ-პოდგაეცისა და ჩერქასოვა. ზაიცევის პარტიები გადაიდო.

ხუთი ტურის შემდეგ კიეველ ოსტატს სახაროვს 3,5 ქულა აქვს, გასიუკოვსა და ლუტიკოვს სამ-სამი ქულა და თითო გადადებული პარტია.

ტურნე იტალიაში

მოსკოვის „სპარტაკისა“ და „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივებმა დაამთავრეს ტურნე იტალიაში.

უკანასკნელი, რიგითი მეოთხე მაჯრი სპარტაკელებმა გამართეს ტურინში ადგილობრივ საკლუბო გუნდ „ტორინოსთან“ და გამარჯვეს 1:0. ერთადერთი ბურთი 70-ე წუთზე გაიტანა ოსიანინმა.

დედაქალაქის დინამოელებს მეორე მატჩი პალერმოში ადგილობრივ გუნდთან ჰქონდათ და აქაც გამარჯვეს 2:1. მე-5 წუთზე ანგარიში ევრიუფეხინმა გახსნა, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ იტალიელებმა ანგარიში კარში საპასუხო ბურთი გაიტანეს. ტაიმის დამთავრებამდე იტალიელთა კარი სტუმრებმა მეორეჯერ აიღეს. გოლის ავტორი კვლავ ევრიუფეხინი იყო.

ჰასტინგსსა და გრონინგენში

ჰასტინგსის ტურნირზე მხოლოდ ერთი ტური დარჩა გასამართავი. მეათე ტურში მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა სმისლოვმა მოტოლოდნელი დამარცხება განიცადა ჩეხოსლოვაკელ სმეიკალთან შეხვედრაში: იუგოსლავიის არაერთგზის ჩემპიონის ბლეგოროიჩისა და ინგლისელი მოჭადრაკის კინის პარტია ყაიმით დამთავრდა.

უკანასკნელი ტურის წინ ასპარეზობას ორი ლიდერი ჰყავს. ესენი არიან სმისლოვი და ბლეგოროიჩი, რომლებსაც შეიდნახევარ-შვიდნახევარი ქულა აქვთ. მესამე ადგილზეა კინი — 7 ქულა, მეოთხეზე — ტუმკაევი — 6,5 ქულა.

ევროპის ქვეყნების იუნიორთა საჭადრაკო ტურნირის ლიდერმა გერმანიის ფედერაციელ რესპუბლიკის წარმომადგენელმა კ. მედერმა წინა ტურში დამარცხება განიცადა, მაგრამ იგი 5 ქულით, ანლა სატურნირო ცხრილის სათავეში დგას.



... ! ...

ზამთრის პირველი თვე მიილია. საახალწლოდ მზადება დაეტყო თბილისს. ნესტორი წელგამართული მიაბიჯებდა იმ პურის დუქნისაკენ, სადაც ორიოდე თვით შეეხიზნა. კარდაკარ მხერხავად სიარულით ჯროშები იშოვნა და ცოლ-შვილს მოსაკითხი და მანუგეშებელი წერილი გაუგზავნა. ამაღამ თვითონაც მოილხენს ტოლ-ამხანაგებში.

მეპურის დუქანში ეზოდან შემოსავალი კარი ყველამ არ იცოდა. იქიდან მხოლოდ შინაურები შემოდიოდნენ. ამ კარიდან შემოვიდა ნესტორიც ფუთაში გახვეული მცირე ნობათით.

კარგა ხანს ირეოდა პურის მყიდველი, მერე კი ჩაიკეტნენ. სითბო დაგუბდა მეპურის დუქანში. ცოტაც, და ოციოდე რაჭველი გაშლილ სუფრას შემოუსხდა.

— ახალი თაობის ხალხს გაუმარჯოს! იმათ გაუმარჯოს, მთაწმინდიდან ნაძალადევში ბომბებს უბით რომ ეზიდეთოდნენ, — დაიწყო თამადად არჩეულმა ქვისმთლელმა და ხმადაბალ ნაძალადევში პარკის თოვლით დაფარულ ტერიტორიაზე ისინი სრიალებენ ციგებით, დადიან თხილამურებით, ტკბებიან ნამდვილი ზამთრის სუფთა ჰაერით. სურათზე: თბილისელი მოსწავლეები ს. ათოიანი (99-ე საშუალო სკოლა), რ. იაკობაშვილი (39-ე საშუალო სკოლა) და ჯ. ხოზვინი (42-ე საშუალო სკოლა) ფუნიკულორის პლატოზე.

ფოტო ს. კილაძისა.

ფურცლები ძველი თბილისის ცხოვრებიდან

ლივ. გვერდით, ფართო კიბეზე, რამდენიმე პოლიციელს მოკრა თვალი. მათ წინ შუახნის კაცი იდგა იდაყვებგამოხეული ფარაჯით.

პოლიციის მოხელენი ეზოში მომწყვდეულებს სათითაოდ უხმობდნენ და ფარაჯიანს ეკითხებოდნენ: — დაკარგირდი, ეს ხომ არ იყო.

ფარაჯიანი მოკლედ უპასუხებდა: — არა!

— მაშ ეგებ ეს იყო! — მეორდებოდა შეკითხვა.

— არც ეგ! — მეორდებოდა პასუხი.

ასეთმა პასუხმა პოლიციელებს მოიმინებება დაუკარგა. ფარაჯიანს ხელა გააწნეს, მეორედ მოხვედრილმა წამებრძანაცა, დაკგდო. ნესტორი კიდევ ვერ გარკვეულიყო, რა ხდებოდა მის ირგვლივ, მაგრამ ის ხომ დანახა, რომ მამის ტოლს სცემდნენ. მოქეიფლმა მუშამა დასცა პოლიციელი.

გულშეღონებულს დანარჩენები შეშოეხვივნენ. ხალხმა ნესტორი მოიქცია შუაში, ქუდი გამოუცვალეს, ტყაპუჭი გაადარეს და ვიღაცის ვრცელი პალტო შემოაცვეს. სხვის ტანსაცმლიანი ნესტორი ჭიშკრისაკენ მიდიოდა ულანჯარები.

კარში გამოსული შორიახლოს შეჩერდა. პალტოს დაბრუნება უნდოდა პატრონისათვის, მაგრამ ვერ მოახერხა. ეზოდან გამოდიოდნენ თუ არა, უმალვე თვალს ეფარებოდნენ.

ამ ამბის შემდეგ გულწასახრობილი გახდა ნესტორი, რაც შეემთხვა, არავისთვის გაუნდვია, განმარტოდა. მეპურის დუქანში გული აღარ უდგებოდა, გარე-გარე დაიწყო სიარული. ჩვეულებრივ სუფიჭრებელში რაღაც ახალი შეეჭრა, ძლიერი, მოუშორებელი.

მაშინაც არ ჩაერია ლაპარაკში, მეპურეები რომ მიყურვით ბჭობდნენ, — ტერორისტებს პრისტავისათვის გამიზნული ყუმბარით შემთხვევით მისი ცოლი აუფეთქებიათო. სმენადქცეულმა ნესტორმა ისიც მოისმინა, — გაცოფებული დაეძებენ დამნაშავეს, ქუჩებში „აბლავებიაო“.

...თებერვალი ქარით და წვიმით დადგა. ვერის ხიდზე მიმავალ ნესტორს განწირული კივილი შემოესმა. შეჩერდა, დააყურა.

— საწყლები! — ხმამაღლა წამოიძახა. — რა დაემართათ ნეტავი?

ეს შეუმჩნეველი არ დარჩა მაღალი ტანის კაცს, რომელიც მოუბრუნდა, მკლავში ხელი ჩაავლო და კითხა:

— ბეცოდებიან?

— ძალიან... მარა ვერ მივხვდი, რა უჭირთ!

— ასე შორი მანძილიდან კი არა, თავზე ვადგიარო და ვერ გეგებთ რა უჭირთ, — ნაღვლიანად ჩაიღაპარაკა ქერაამიანმა ეკითმმა. — ხომ არ იმეშაგებდი ჩვენთან... დავეხმაროთ ავადმყოფებს! — უთხრა და თანხმობის შემდეგ საავადმყოფოსაკენ მიმავალი გზა ასწავლა.

ნესტორმა გაიფიქრა, უმეშეკარს ეს რა მოავარანგელოზივით გამომგზავნეო. დილას ყველას ავსწრო.

— თუ არ მიმიღებენ, არ მიმიღებენ და ის იქნება, — ასეთი ორჭოფით მივიდა ნესტორი დანიშნულ დროს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. მომლელის ხალათი ჩააცვეს და სამეშაო გააცვეს.

ბედნიერება განსაკუთრებით მაშინ იგრძნო, როდესაც საავადმყოფოს ეზოში ოთახი მისცეს. გულიანად უღიდა ავადმყოფებს და საზამთროდ ცოლ-შვილის ჩამოყვანაზე ოცნებობდა.

ზაფხულის ცხელი დღეები დაიწყო. სუნთქვა გაძნელდა. თბილისს ცეს ქვეშ, ეზოში მყოფ ნესტორს დათუნას ყვირილი შემოესმა. ეს ძნელად დასამშვიდებელი ავადმყოფი იყო. მორიგეს დასახმარებლად განყოფილებისაკენ წავიდა, მორგებული გასაღებით კარი შეაღო.

მბეუტავ სინათლეზე ძლივს გააცალკევა ნამჯასავით მიყრილი რამდენიმე ავადმყოფი, ამ დროს მისი ყურადღება იდუმალმა ჩურჩულმა მიიპყრო.

— „ყველაფერი ნათელია“, — უფრო გარკვევით შემოესმა ნესტორს და რამდენიმე საწოლის წინ ორი მობასხე შენიშნა.

ისევ ბორკილებიანი ავადმყოფი... ისევ კოლია სოკოლოვი, — გაუელვა აზრმა. კოლია წამსვე გვერდში ამოუდგა და მეგობრულად მიმართა, მომეხმარეო.

ნესტორი მოეხმარა. ავადმყოფები გააცალკევეს და საწოლში დააწვინეს — ნამდვილად ისეა, ორგრიც ვფიქრობ... ნამდვილად ქვეინია ეს შავგვრემანი კაცი, მაგრამ რატომ ვერ ვიგონებ, სად მინახავს?

მეორე დღეს მორიგეობა ნესტორმა ჩაიბარა. ავადმყოფებს ჩვეულებრივი მზრუნველობით ეპყრობოდა. იმას, ვი ვიზედაც ეჭვი ჰქონდა, განსაკუთრებით აკვირდებოდა. ავადმყოფიც გრძნობდა ნესტორის მზრის და ფურცლავდა წარსული ფურცლებს, საიდან მახსოვს ეს კაცი.

კვირაში ორჯერ მშვიდი ავადმყოფები სასეირნოდ გაპყავდათ ბაღში. დღესაც სეირნობის დღე ჰქონდათ. წასადილევს ნესტორი რამდენიმე ავადმყოფს ეზოში გაუძღვა. გაიყვანა ბორკილებიანიც, რომელიც კიბის საფეხურებზე შემზარავი ყრიჭინით ჩადიოდა.

ხმებით დაჩრდილულ ეზოში ავადმყოფები გაიმალნენ. ზოგი გრძელ სკამზე ჩამოჯდა, ზოგი ბალახზე წამოწვა. ბორკილებიანსაც უნდოდა წამოწოლა, მაგრამ ზურგთან შეკრული ხელები ვერ მოიხმარა.

ის იყო ნესტორი დასახმარებლად უნდა მისულიყო, რომ შეჩერდა, წარბები მოზიდა. ამ ეზოს სხვა ეზო მოაგონა უცბად, უფრო დიდი და ხალხმრავალი. სირბილით წავიდა თავისი ოთახისაკენ და უმალვე პალტომოხურული დაბრუნდა უკან.

ავადმყოფებს დიდად არაფრად დასტყობიათ რამდენიმე წუთით მარტო დარჩენა და არც ნესტორის დაბრუნება შეუმჩნევიათ. ბორკილებიანმა კი თავისი პალტო იცნო, წაბარბაცდა, ნესტორმა ხელი შეაგება, შეაჩერა, პალტო ხის ქვეშ გაშალა, ბავშვივით ხელში აიყვანა, ზედ დააწვინა და მალულად გაუღიმა.

— რა დამავიწყებს შენს ერთგულებას... — დაარღვია სიჩუმე ნესტორმა. — ახლა უკეთესად მესმის ყველაფერი... მენდე... თუ გიღალატო... — დანარჩენი თვალებში ამოიკითხა ბორკილიანმა.

ბევრი ღამე გაუტარებია ნესტორს უძილოდ, დარდიანად მაგრამ ის ღამე სხვა ღამეებს არ ჰგავდა. მორიგეობის შემდეგ შინ მისული ოთახში ვეღარ ეყარდა, გარეთ გამოვიდა. მთვარეს სიგრილე ამოქყოლოდა და გულმა შვება იგრძნო.

— კლდესავით დადექ, ნესტორიკა! — დამაჯერებლად წარმოთქვა და გამოეხიბლა ძლიერ მიდო თავი სასთუმალზე.

დღის მორიგე მომვლელი ანდრეევი იყო, ღამის მორიგეობა ისევ ნესტორს გადაბარა, ცოლი მყავს შეუძლოდ და მარტო ნუ დამაგონებინებო.

შუადამე გადავიდა, ქალაქი სთვლემდა. მინელებულ ხმაურში სულით ავადმყოფთა ღრიალცელი კიდევ უფრო იკლებდა იქაურობას. ნესტორი ავადმყოფებში არ ტრიალებდა ჩვეულებრივად. ცოტა მოშორებით ხის ულის სწრაფი მოძრაობა მოჩანდა მხოლოდ. ცოტაც — და, — ესეც ასეო, — ესეც ასეო, ამოისუნთქა. გადახერხილი ბორკილები მძიმედ დაეცა კუთხეში, რომ კარებში დარაჯად მდგომი კოლია გამოჩნდა, პირადი მეთვალყურის მოსვლა აუწყა და მარდად უკანვე გატრიალდა.

დარჩენილები აჩქარდნენ. ჭერზე მიბჯენილი ფანჯრის ჩარჩო ჰქონდათ კიდევ გამოსახერხი. ქალაქელმა უკიბა. ნესტორი თვალის დახამხამებაზე კედელს აეკრა. მარცხენა მუშტი ჩამტვრეულ მინაში გაჰყო, აგურს ჩაედაჯდა, მარჯვენაში ხერხი მოიმარჯვა და ჩარჩოს შეეჭიდა.

დამთავრდა. ჯერ ერთს, მერე მეორეს შეედგა ნესტორმა თავისი ფართო ბეჭები. გადასტნენ, წავიდნენ. დამსხვრეულ ბორკილებთან მარტო დარჩენილი დაღმართზე დაშვებულთა ფეხის ხმას უსმენდა და გზას ულოცავდა...

დედამიწა გამალებით ბრუნავდა. ბგონი უფრო ბრუნავდა, ვიდრე ოდესმე. თბილისი აივსო შემოდგომის ნოლით. რთველი იყო ყველგან, სადაც კი ვაზი ხარობდა და ყურძენი მწიფდებოდა.

ეს დრო ყველაზე უფრო უყვარს სოფელს. უყვართ გარეთ გასული რაჭველებს და, თუ დრო იხელთეს, უთუოდ სოფლისაკენ წავლენ. ნესტორი მიდის, მიდის მაგრამ არა რაჭაში, — შორს ჩრდილოეთში.

— გაეცალეთ! — გაისმა განკარგულება და მოედანზე გამოსული ხალხი შემეჯიდროვდა.

— გაეცალეთ! — კიდევ უფრო მკაცრად გაისმა და პოლიციელთა ხელი თოფები შეტრიალდა. ქალებმა კიკილი მორთეს და გაეცალნენ, მამაკაცებიც იხევდნენ უკან და თან თვალები იქით რჩებოდათ, საიდანაც რამდენიმე თოფმომარჯვებულ ჯანდარმს პატიმარი მოპყავდა.

— გამიკითხეთ... ღვთისმშობლობაა!.. გამიკითხეთ! მაჩუქეთ რაზე, მაჩუქეთ რამე! — გახუნებულ ოქროსფერებდა ერთსა და იმავეს ერთი მათხოვარი და მოწყალებას არ უმდიდა, წინ მიიწევდა.

— სად მიდიხარ? — აყვირდა მწყობრში ჩამდგარი თოფიანი და ხელის კვრით მოიშორა.

მათხოვარი ახლა მეორე გვერდით გაჰყვა ჯანდარმებს: ისევ სცადა რკალის გარღვევა. კიდევ აედევნა მიმავალ ნესტორს და რომ ვეღარაფერი გააწყო, უფრო ხმამაღლა გაიმეორა.

— ღვთისმშობლობაა, მაჩუქეთ რამე, მაჩუქეთ რამე!...

ნესტორს ხმა ემცნო, მათხოვარისაკენ გაიხედა. მათხოვარმა ჩამოფხატული ქუდი აიწია ეცნობ ეფრო მიცნოსო, ცრემლმორეულმა გაუღიმა და ხმა მიაწოდა:

— ჩემი გულისათვის დაიღუმე!..

— ალალი იყოს!..

ბაბი სვანი.

■ ■ ■

მხატვარი ბ. მაისურაძე.

... !

◆ **ბუენოს** თბილისის ზამთრის საცურავ აუზში დაიწყო საქართველოს პირად-გუნდური პირველობის გათამაშება ცურვაში. დღეს კი ბრძოლაში ჩაებმებიან ტრამლინიდან წყალში მხტომელები. ეს ასპარეზობა 11 იანვრამდე გაგრძელდება.

◆ **ბაიმპრეთა** საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები ფრენბურთში ქალთა გუნდებისათვის. მესამე ტურში მოსკოვის „ლოკომოტივმა“ დაამარცხა „სპარტაკის“ გუნდი 3:0, კიევის „ბურევესტნიკმა“ — სვერდლოვსკის „ურალმაში“ 3:2, ლენინგრადის „ბურევესტნიკმა“ — ირკუტსკის „სპარტაკი“ 3:2.

◆ **სსრ კავშირის** ჩემპიონმა ჩოგბურთში ესტონელმა თომას ლეიუსმა ტალინის ასპარეზობაში წარმატებით გამოსვლის შემდეგ სტარტი მიიღო ავსტრალიის ვიქტორიის შტატის ღია ჩემპიონატში. პირველ წრეში მან დაამარცხა მასპინძელთა წარმომადგენელი რ. ჯილტინენი.

◆ **სან-ფრანცისკოში** გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება მძლეოსნობაში, რომელშიც სხვებთან ერთად მონაწილეობა მიიღო მენეოს ოლიმპიური ასპარეზობის გმირმა რ. ბიმონმა. იგი სიგრძეზე გადახტა 8 მეტრსა და 20 სანტიმეტრზე და პირველი ადგილი დაიკავა. რ. ბიმონი პირველი იყო აგრეთვე სამმაგ ხტომაში.

... !

... !

◆

... !

◆

... !

◆